22.02.2018 № 08-1/383/965

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“–სა (შემდეგ - ბანკი) და შპს „ნიკოლოზი“-ს (ს/ნ: 401971354) (შემდეგ - კლიენტი) შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე იპოთეკით დატვირთულია კლიენტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონება მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ. საკადასტრო კოდი: N01.11.17.023.018. იპოთეკის ხელშეკრულება დამოწმებულია სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. იპოთეკის ხელშეკრულების დამოწმების თარიღი 07/07/2017, რეგისტრაციის N 882017603469.

ბანკი თანახმაა ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით განხორციელდეს, საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით და შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, იმ პირობით, რომ ბანკის იპოთეკის უფლება დარჩება უცვლელი და სრულად გავრცელდება მშენებარე /აშენებულ უძრავ ქონებაზე.

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“
დირექტორი
ნიკო ჩხეტიანი

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
საქართველო 0108
თბილისი
გ. ჭანტურიას ქ. 14

ტელეფონი:
+(995) 32 224-24-24
ფაქსი:
+(995) 32 293-32-91

SWIFT: UGEBGE22
E-mail: info@vtb.ge

VTB

იპოთეკის ხელშეკრულება

თბილისი

თარიღი: 07.07.2017

1. ხელშეკრულების მხარეები

1. „იპოთეკარი" – სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" (იურსიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ჭანტურიას ქ.#14, რეგისტრირებული 1995 წლის 19 მაისს, ქ.თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის #03/5-1) წერეთლის ფილიალი (შემდგომ „ბანკი"), წარმოდგენილი კომპანიის ირინეს N 60002013877) მიერ, მოქმედი ფილიალის დებულების საფუძველზე.
2. „მესაკუთრე" – შპს ნიკოლოზი (საიდენტიფიკაციო ნომერი 401971354, დაარსებული 22.05.2012 წ, იურიდიული მისამართი: ვაკე-საბურთალოს რ/ნი დიღმის მას V კვ. კორ 9 ბ 1,) წარმომადგენელი დეისაძე ბექა (პირადი # 60001055619).

2. ხელშეკრულების საგანი

2.1იპოთეკარი უფლებამოსილია იპოთეკარსა და მესაკუთრეს შორის 25.12.2013წ დადებული საკრედიტო მომსახურებაზე N665.1114423.001 გენერალური ხელშეკრულებითა (შემდგომ „გენერალური ხელშეკრულება") და მის საფუძველზე დადებული კონკრეტული ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების მესაკუთრის მიერ შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისას, სხვა კრედიტორებთან შედარებით, პირველ რიგში დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა მესაკუთრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ხარჯზე, რომლის იპოთეკით დატვირთვის პირობები განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით.
2.2 გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტებისა და საბანკო გარანტიების ოდენობას, საპროცენტო განაკვეთს, პირგასამტეხლოს ოდენობასა და დაფარვის ვადას განსაზღვრავს კონკრეტული ხელშეკრულებები.

3. იპოთეკის საგანი

3.1 გენერალური ხელშეკრულებითა და მის საფუძველზე დადებული კონკრეტული ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების მესაკუთრის მიერ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით იტვირთება მესაკუთრის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი, მდებარე ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ (შემდგომ „იპოთეკის საგანი").
3.2 იპოთეკის საგანი წარმოადგენს მესაკუთრის საკუთრებას, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, ამონაწერის მომზადების თარიღი 30.06.2017, განაცხადის რეგისტრაციის N882017577421, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.11.17.023.018.
3.3 იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობას შეადგენს ძირითადი თანხა, დარიცხული საპროცენტო განაკვეთი, პირგასამტეხლო, საკომისიო, კონკრეტული ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული სხვა ნებისმიერი გადასახდელი და შესაძლო ზიანი.
3.4 მესაკუთრე ადასტურებს, რომ იპოთეკის საგანი ამ ხელშეკრულების დადებამდე არ არის გასხვისებული, არ არის დაყადაღებული და არ არის მესამე პირთა სასარგებლოდ უფლებრივად დატვირთული.
3.5 ამ ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგნის სხვა უძრავ ნივთთან გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ უძრავ ნივთზე, იპოთეკის საგანთან არსებით შეშადგენელ ნაწილად შეერთებულ ნივთზე (მათ შორის იმ ნაგებობაზე, რომელიც აღიმართება აღნაგობის უფლებით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე). იპოთეკის საგანზე დამატებულ (მიშენებულ, დაშენებულ) ნივთზე. იპოთეკით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე აღმართულ შენობა-ნაგებობებზე. იპოთეკის საგნის გადაკეთებით (მოდიფიკაციით) მიღებულ ნივთზე. იპოთეკის საგნის აზომვის შედეგად საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ დამატებით ფართობზე და იპოთეკის საგნის ნაყოფზე.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

4.1 მესაკუთრე უფლებამოსილია ისარგებლოს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებით.
4.2 მესაკუთრე მოვალეა შეინარჩუნოს იპოთეკის საგნის რეალური ღირებულება, არ დაუშვას მისი დაზიანება და განადგურება.
4.3 მესაკუთრე არ არის უფლებამოსილი, იპოთეკარის წერილობითი თანხმობის გარეშე, იპოთეკის საგანი დატვირთოს აღნაგობის უფლებით.
4.4 იპოთეკის საგნის შენახვის ვალდებულება, ასევე მისი შემთხვევითი განადგურების ან დაზიანების რისკი ეკისრება მესაკუთრეს.
4.5 თუ იპოთეკის არსებობას საფრთხე შეექმნება, იპოთეკარი განუსაზღვრავს მესაკუთრეს შესაბამის ვადას საფრთხის თავიდან ასაცილებლად.
4.6 იპოთეკარი უფლებამოსილია პერიოდულად შეამოწმოს იპოთეკით დატვირთული ქონების მდგომარეობა. მიიღოს მესაკუთრისგან იპოთეკის საგანთან დაკავშირებით ნებისმიერი ინფორმაცია.
4.7 თუ მესაკუთრე ვერ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე დადებული კონკრეტული ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრ ვალდებულებებს, იპოთეკარი უფლებამოსილია თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს იპოთეკის საგნის რეალიზაციით ან მისი საკუთრებაში მიღებით.
4.8 იპოთეკარის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის ღირებულება მთლიანად ვერ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, იპოთეკარის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად არ ითვლება. ამ შემთხვევაში იპოთეკარი უფლებამოსილია დარჩენილი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს მესაკუთრის საკუთრებაში არსებული ქონების ხარჯზე.
4.9 თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა მთლიანად ვერ ფარავს იპოთეკარის მოთხოვნას, იპოთეკარი უფლებამოსილია დარჩენილი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს მესაკუთრის საკუთრებაში არსებული ქონების ხარჯზე.
4.10 იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით იფარება იპოთეკარის მოთხოვნა, მათ შორის რეალიზაციის ხარჯები, ნაშთი კი მიეცემა მესაკუთრეს (არსებობის შემთხვევაში).

4.11 მესაკუთრე უფლებამოსილებას ანიჭებს იპოთეკარს, მესაკუთრესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (პოზიტიური ან/და ნეგატიური)
ა. გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული 14.02.2005წ. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის #06/5-51) მოსაცემთა ბაზაში შესატანად, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია შეიძლება გახდეს საჯარო და ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის.
ბ. გამოიყენოს ვითიბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის.

გ. გადასცეს მესამე პირებს, გენერალური ხელშეკრულებით/საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მესაკუთრის მიერ დარღვევის შემთხვევაში, მესაკუთრისაგან დავალიანების ამოღების მიზნებისათვის.

დ. გადასცეს მესამე პირს ბანკის მიერ მესაკუთრის მიმართ გენერალური ხელშეკრულების/კონკრეტული ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.

ე. ბანკი უფლებამოსილია მესაკუთრესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.

4.12 ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მესაკუთრე/მესაკუთრის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ" კანონმდებლობით დადგენილი წესით (1) ჩემი იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის (2) საბანკო მომსახურების მიღების (3) საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებების გამოგზავნის (4) განხორციელებული საბანკო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და (5) პირდაპირი მარკეტინგის მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები".

5. იპოთეკის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

5.1 იპოთეკის ხელშეკრულება შეწყდება:

ა) იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულების სრულად შესრულებისას;

ბ) იპოთეკით დატვირთული ქონების მთლიანად დაღუპვისას;

გ) იპოთეკის საგნის რეალიზაციისას, ამ ხელშეკრულების შესაბამისად მასზე გადახდევინების მიქცევის შემთხვევაში;

დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.2 იპოთეკის საგნის მესაკუთრის შეცვლა არ არის იპოთეკის შეწყვეტის საფუძველი. ამ შემთხვევაში იპოთეკის საგნის მიმართ დადგენილი ვალდებულებითი ტვირთი მიჰყვება იპოთეკის საგანს.

6. სხვა პირობები

6.1 ამ ხელშკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევაში მხარეები გამოიყენებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებებს.

6.2 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

6.3 გენერალურ ხელშეკრულებასა და მის საფუძველზე დადებულ კონკრეტულ ხელშეკრულებაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება არ წარმოადგენს წინამდებარე იპოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საფუძველს.

6.4 ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მის გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს 'საქართველოს საარბიტრაჟო პალატას" (თბილისი, საირმის ქ. #10, ბინა #31, საიდენტიფიკაციო #205267389), რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული საღსრულებო ფურცლის საფუძველზე და აღარ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.

მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპოდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპოდენცია (მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.) ჩაითვლება ჩაბარებულად (შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით).

იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფაში არსებული ქონების აუქციონზე რეალიზაციის მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, გათვალისწინებულ სპეციალისტად დაინიშნოს შპს "ემკი ჰოლდინგი" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204572284), რომლის მომსახურების ანაზღაურება განისაზღვრება მოთხოვნის 4%-ით. აღნიშნული ოდენობიდან, დაინტერესებული პირი სპეციალისტს წინასწარ უხდის აღსასრულებელი მოთხოვნის 1%-ს. დარჩენილი 3%-ის გადახდება ხდება აუქციონის დამთავრებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. სპეციალისტის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს აღსრულებული მოთხოვნის 4%-ს. აღნიშნული შეთანხმება არ ართმევს კრედიტორს უფლებას უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის მიზნით მიმართოს სააღსრულებო ბიუროს/კერძო აღმასრულებელს.

6.5 მესაკუთრე იპოთეკარს ნებისმიერ შეტყობინებას/დოკუმენტს გაუგზავნის წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებულ მისამართზე ფოსტით ან გადასცემს კურიერის მეშვეობით. იპოთეკარს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს მესაკუთრეს (მესაკუთრის წარმომადგენელს, დირექტორს ან თანამშრომელს) ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი (კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით) ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებულ მისამართზე ან მესაკუთრის იმ მისამართზე რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მე–7 მუხლში მითითებულ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მესაკუთრის იმ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მე–7 მუხლში მითითებულ მესაკუთრის წარმომადგენლის/დირექტორის საცხოვრებელ მისამართზე, ამავე პირის ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსზე, ელექტრონულ ფოსტაზე ან სხვა კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება მესაკუთრისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა იპოთეკარის სახელით იპოთეკარის თანამშრომლის მიერ ტელეფონით მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება მესაკუთრისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინება მესაკუთრის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება:

- პირადად მიწოდების შემთხვევაში - შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი მესაკუთრისათვის (მესაკუთრის წარმომადგენლისთვის, დირექტორისთვის ან თანამშრომლისთვის) ჩაბარების დღეს.
- კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე–5 კალენდარულ დღეს, ან მესაკუთრისათვის (მესაკუთრის წარმომადგენლისათვის, დირექტორისათვის ან თანამშრომლისათვის) ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
- ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - მესაკუთრის (მესაკუთრის წარმომადგენელის/დირექტორის) ელექტრონული ფოსტის სერვერიდან (მისამართიდან) იპოთეკარის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.

- ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.

იპოთეკარის შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი მესაკუთრეზე მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ იპოთეკარს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე მესაკუთრის (მესაკუთრის წარმომადგენელის/დირექტორის) ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან მესაკუთრე (მესაკუთრის წარმომადგენელი/დირექტორი ან თანამშრომელი) უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან იპოთეკარი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს მესაკუთრის (მესაკუთრის წარმომადგენელის/დირექტორის) ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ შეტყობინებას.

თუ მოხდა მე-7 მუხლში მითითებული მესაკუთრის (მესაკუთრის წარმომადგენელის/დირექტორის) რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება იპოთეკარს, შეტყობინება/დოკუმენტი მესაკუთრის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაშიც;

6.6 ეს ხელშეკრულება შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის, ერთი გადაეცემა მესაკუთრეს, ხოლო ორი – იპოთეკარს.

7. მხარეთა ხელმოწერები

"იპოთეკარი"	"მესაკუთრე"
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	შპს ნიკოლოზი
წერეთლის ფილიალი	საიდენტიფიკაციო ნომერი: ს/კ 401971354
აკ. წერეთლის გამზირი N67	მისამართი: ვაკე-საბურთალოს რ/ნი დიღმის მას V კვ. კორ 9 ბ 1
კოპალიანი ირინე	ტელ.: 593212166; ელ.ფოსტა: ; ფაქსი
(995 32) 2242424	დირექტორი/წარმომადგენელი: დეისაძე ბექა, (პირადი # 60001055619)
	დირექტორის/წარმომადგენლის მისამართი: თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 9 ბ. 1
	დირექტორის/წარმომადგენლის ტელეფონი: 593212166

23.02.18

ჯორჯიან ენერჯი ტრეიდი

Georgian Energy Trade

№ GET 18. 04.18/ 01 **18 აპრილი 2018 წ.**

შპს "ნიკოლოზი"-ს

(ს/ნ 401971354)

დირექტორს

ბატონ ბექა დეისაძეს

თქვენი 2017 წლის 25 სექტემბრის მომართვაზე გაცნობებთ, რომ შპს „ჯორჯიან ენერჯი ტრეიდი" თანახმაა თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე **(საკადასტრო კოდი № 01.11.17.023/018)** შესასვლელი მოაწყოთ ჩვენს საკუთრებაში არსებული შიდა კვარტალური გზის მხრიდან **(საკადასტრო კოდი № 01.11.17.006/880).**

პატივისცემით

შპს „ჯორჯიან ენერჯი ტრეიდი"-ს

დირექტორი ვასილ აფციაური

TEL. +995 595 49 57 50 მისამართი: მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდ.ტერ. ელ.ფოსტა vaso955 @ mail.ru

დ ე ნ დ რ ო პ რ ო ე ქ ტ ი

მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: 01.11.17.023.018,
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის
განთავსების პროექტი

2. 05 2018 წელი

განაშენიანება





ქ 3 - 0.14 140,8 მ²

კ-3 ის საანგარიშო კროკი

არსებული მდგომარეობა



დამკვეთი	შ.პ.ს. "ნიკოლოზი"	შემსრულებელი	ლანდშაფტის არქიტექტორი ლია ჭურციკიძე		მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: 01.11.17.023.018, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის განთავსების პროექტი	დენდროპროექტი	
დირექტორი	ბექა დეისაძე	მისამართი	თბილისი. ნაკადულის ქ.№6 ბინა27. q.lika @mail.ru			კ-3 საანგარიშო კროკი A-3 დ-1	თბილისი 2.05.2018წ.

დენდროგეგმა



პირობითი აღნიშვნები:

- საპროექტო ფოთლოვანი ხეები
- საპროექტო წიწვიანი ხეები
- ბუჩქები
- მხვიარები
- გაზონი ჩვეულებრივი

შენიშვნები:

1. მცენარეები შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით
2. მოცემული მცენარის შეცვლა შესაძლებელია პროექტის ავტორთან შეთანხმებით
3. მცენარეთა ჩარგვისას დაცულ იქნას აგროტექნიკის ნორმები.
4. ფოთლოვანი ხეების ღეროს გარშემოწერილობა უნდა იყოს 14 სმ.-16 და 18-20 მდე.
5. ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში.

ექსპლიკაცია:

1.	მაღაზია.	24.1 მ²
2.	WC.	16.6 მ²
3.	სასაწყობე ფართი.	235.9 მ²
4.	ავტოსერვისი.	116.9 მ²
5.	დამხმარე ფართი.	4.8 მ²
	საერთო ფართი (I სართ.)	398.3 მ²

0.00 შეესაბამება აბსოლიტურ ნიშნულ 510.30

დამკვეთი	შ.პ.ს. "ნიკოლოზი"	შემსრულებელი	ლანდშაფტის არქიტექტორი ლია ჟურციკიძე		მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: 01.11.17.023.018, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის განთავსების პროექტი	დენდროპროექტი	
დირექტორი	ბეჭა დეისაძე	მისამართი	თბილისი. ნაკადულის ქ.№6 ბინა27. q.lika @mail.ru			დენდროგეგმა	A-3 დ-2 თბილისი 2.05.2018წ.

მცენარეთა ექსპლიკაცია



იშანი ჩვეულებრივი
Fraxsinus exselsior



კვიპაროსი სვეტისებური
Cupressus sempervirens



ფოტინია რედ რობინი
Photinia x fr. Red Robin



სურო ჩვეულებრივი
Hedera helix

საპროექტო მცენარეთა ექსპლიკაცია

№	მცენარის დასახელება	სიმაღლე	ღეროს გარშემოწ.	სასიცოცხლო ფორმა	შენიშვნა	რაოდენობა
1	Fraxsinus exselsior იშანი ჩვეულებრივი	3.00-3.50	14/16-16/18	ფოთლოვანი ხე	ფოთოლმცვენი	1
2	Cupressus semperv. pyramidalis კვიპაროსი მარადმწ. სვეტისებური	2.50-3.00	--	წიწვიანი ხე	მარადმწვანე	5
3	Photinia x. frazeri red robin ფოტინია რედ რობინი	1.30-1.50	--	ფოთლოვანი ბუჩქი	ფოთოლმცვენი	2
4	Hedera Helix სურო ჩვეულებრივი	0.50-0.60	--	წიწვიანი ბუჩქი	მარადმწვანე	30
5	ჩვეულებრივი ბაზონი	--	--			60 კვ.მ

ალტერნატიული მცენარეები:

1. რობინია ცრუაკაცია — Robinia pseudoacacia
2. კვიპაროსი სვეტისებური — Cupressus sempervirens
3. ფოტინია რედ რობინი — Photinia x fr. red robin
4. ფორზიციაა — Forzitsia intermedia



ნეკერჩხალი ჭადარფოთოლა
Acer platanoides



კლდის ღვია "ბლუ აროვი"
Juniperus scopulorum "Blue arrow"



წაბლი კავკასიური
Prunus Laurocerasus caucasica



პართენოცისუსი
Phartenocisus tricuspidata

შენიშვნები:

1. მცენარეები შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით
2. მოცემული მცენარის შეცვლა შესაძლებელია პროექტის ავტორთან შეთანხმებით
3. მცენარეთა ჩარგვისას დაცულ იქნას აგროტექნიკის ნორმები.
4. ფოთლოვანი ხეების ღეროს გარშემოწერილობა უნდა იყოს 14 სმ.-16 და 18-20 მდე.

დამკვეთი	შ.პს. "ნიკოლოზი"	შემსრულებელი	ლანდშაფტის არქიტექტორი ლია ჭურციკიძე		მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: 01.11.17.023.018, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის განაშენიანების პროექტი	დენდროპროექტი		
დირექტორი	ბეჭა დეისაძე	მისამართი	თბილისი. ნაკალულის ქ.№6 ბინა27. q.lika @mail.ru			მცენარეთა ექსპლიკაცია მცენარეთა ფოტოები	A-3	დ-3
							თბილისი 2.05.2018წ.	

სამუშაოთა მოცულობა

№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	შენიშვნა
1	ადგილების მომზადება ხეების დასარგავად 50% ნოყიერი მიწის ნაზავის დამატებით ორმოებში. (ორმოს ზომა 0.8X0.8X0.8)	ცალი	6	1.5 კუბური მ. მიწის ნაზავი
2	ფოთლოვანი და წიწვიანი ხეების დარგვა	ცალი	6	
3	ადგილების მომზადება ბუჩქების დასარგავად 50% ნოყიერი მიწის ნაზავის დამატებით ორმოებში (ორმოს ზომა 0.4X0.4X0.4)	ცალი	32	1.2 კუბური მ. მიწის ნაზავი
4	ბუჩქების დარგვა	ცალი	32	
5	15 სმ. სისქის ნოყიერი მიწის ნაზავის შეტანა და გაშლა, ჩვეულებრივი გაზონის მოსაწყობად 60 კვ.მეტრ ფართობზე.	კუბური მეტრი	9.0	
6	ჩვეულებრივი გაზონის მოწყობა	კვ. მეტრი	60	
7	ახლადჩარგული ხეების და ბუჩქების ფორმირება (გაკრეჭა)	ცალი	38	
8	ხეების დამაგრება ქარისგან დასაცავად	ცალი	6	
9	ახლადჩარგული მცენარეების მორწყვა და გაზონის მორწყვა	მთელი გამწვანებული ტერიტორია		

შენიშვნები:

1. მცენარეთა ჩარგვისას დაცულ იქნას აგროტექნიკის ნორმები, მცენარეები ჩაირგას კომით, არასავეგეტაციო პერიოდებში.
2. უზრუნველყოფილ იქნას მცენარეთა მორწყვა მთელი სავეგეტაციო პერიოდების განმავლობაში.

დამკვეთი	შ.პ.ს. "ნიკოლოზი"	შემსრულებელი	ლანდშაფტის არქიტექტორი ლია ჟურციკიძე		მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: 01.11.17.023.018, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის განთავსების პროექტი	დენდროპროექტი		
დირექტორი	ბეჭა დეისაძე	მისამართი	თბილისი. ნაკადულის ქ.№6 ბინა27. q.lika @mail.ru			სამუშაოთა მოცულობა	A-3	დ-4
								თბილისი 2.05.2018წ.

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შ.პ.ს. "ნიკოლოზი"

დირექტორი ბექა დეისაძე

საპროექტო ტერიტორია: ს/კ 01.11.17.023.018
მისამართი: მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სააქალაქო სამსახური.

კ-3: 0,14 - 140 კვ მეტრი

გამწვანების სამუშაოების დასრულების თარიღი:

დასარგავი ხეების და ბუჩქების სახეობა:
1 ძირი-იშვანი (სიმაღლე 3.00-3.50მ. ხნოვანება 7-10 წ.)
5 ძირი -კვიპაროსი (სიმაღლე 2.50-3.00მ. ხნოვანება 5-7წ.)
2 ძირი - ფოტინია (სიმაღლე 1.30-1.50მ. ხნოვანება 3წ.)
30 ძირი - სურო (სიმაღლე 0.50-0.60მ)







ახლადდარგულ ხე მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი: შ/პ. ბექა დეისაძე

ახლადდარგული ხე მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შ.პ.ს. "ნიკოლოზი"

დირექტორი ბექა დეისაძე

საპროექტო ტერიტორია: ს/კ 01.11.17.023.018
მისამართი: მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სააქალაქო სამსახური.

კ-3: 0,14 - 140 კვ მეტრი

გამწვანების სამუშაოების დასრულების თარიღი:

დასარგავი ხეების და ბუჩქების სახეობა:
1 ძირი-იშვანი (სიმაღლე 3.00-3.50მ. ხნოვანება 7-10 წ.)
5 ძირი -კვიპაროსი (სიმაღლე 2.50-3.00მ. ხნოვანება 5-7წ.)
2 ძირი - ფოტინია (სიმაღლე 1.30-1.50მ. ხნოვანება 3წ.)
30 ძირი - სურო (სიმაღლე 0.50-0.60მ)

ახლადდარგულ ხე მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი: შ/პ. ბექა დეისაძე

ახლადდარგული ხე მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი

